საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

13 ~~სექტემბერი~~ 2021 წ. №141

ქ. თბილისი

„პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/2) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე"

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 24.05.2021 წლის №60 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების" მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.საექსპერტო კომისიის წევრის – აკაკი შანშიაშვილის მიერ საექსპერტო კომისიის დატოვების გამო, შევიდეს ცვლილება „პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/2) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 24.05.2021 წლის №60 ბრძანებაში და პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/2) განმხილველი საექსპერტო კომისია ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

1. სალომე ალექსი - რეჟისორი;
2. ნინო ახვლედიანი – რეჟისორი;
3. გიორგი გეთიაშვილი - კინომცოდნე;
4. გიორგი ქობალია – პროდიუსერი;
5. გიორგი ცქვიტინიძე – რეჟისორი;
6. თამარ შავგულიძე – რეჟისორი;
7. არჩილ ქიქოძე – მწერალი/სცენარისტი;

3. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- კინოცენტრი) IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
4. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

საფუძველი: „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის წევრის – აკაკი შანშიაშვილის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ" საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 13.09.2021 წლის №140 ბრძანება.

დირექტორი

გაგა ჩხეიძე